ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ

2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა განისაზღვრა საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 18 იანვრის №47.47220181 ბრძანებით.
- საბჭო შედგება 15 წევრისგან, მათ შორის საკრებულოს წევრების, მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან.
- ბრძანების ნახვა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე **chokhatauri.ge**

- 2022 წელს ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 5 (ხუთი) სხდომა.
- სხდომებზე განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სამუშაო წლის დაგეგმვა, ჩასატარებელი ღონისძიებების მომზადება, ფოკუს ჯგუფების კვლევის ჩასატარებლად სამიზნე ჯგუფის შერჩევა, კვლევის შედეგების განხილვა, კონკურსის გამოცხადება, სტატისტიკური აღრიცხვის ფორმების შემუშავება და დანერგვა, რეკომენდაციების, საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება და წარდგენა.

- სხდომის ოქმების ნახვა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე chokhatauri.ge

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და უშუალოდ მისი წევრის მაია გიორგაძის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში „ლაიონსების თვალის დიაბეტური კლინიკა-საქართველომ“ საქველმოქმედო აქციის ფარგლებში ჩაატარა ოფთალმოლოგიური და ენდეკრინოლოგიური სკრინინგი 50 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის, აქციის ფარგლებში კვლევა ჩაუტარდა 225 მოქალაქეს.

- **მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI)**
- **NDI -** ის მიერ 2022 წელსაც გადამზადებულ იქნა ორი მოდერატორი ფოკუს კვლევების ჩასატარებლად.
- გადამზადებულმა მოდერატორებმა ჩაატარეს ფოკუს ჯგუფების კვლევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დედებთან. წარმოდგენილი კვლევის შედეგები განხილულ იქნა გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, შეირჩა პრიორიტეტული საკითხი და მომზადდა საბიუჯეტო ინიციატივა, რომელიც აისახა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.
- 2022 წელს **NDI -** ის ექსპერტთან კონსულტაციის საფუძველზე შემუშავდა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა.
- საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს **NDI -** ის მიერ დაგეგმილ შეხვედრებშიც.

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:
- ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ - საბჭოს რეკომენდაციით სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგებზე ახორციელებს ქალთა ჩართულობის ხელშეწყობას.
- 2022 წელს ქალთა ფონდი „სოხუმთან“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.
- 2022 წელს ჩოხატურის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სოციალურმა პროგრამით“ შერჩეული იყო **15** საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის.

- საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაცია ციფრული სერვისების შესახებ და ფონდის წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ონლაინ სერვისების შესახებ. ერთ მარტოხელა მშობელს ფონდის მიერ გადაეცა მობილური ტელეფონი და სასურსათო პაკეტი. ერთმა ბენეფიციარმა ისარგებლა ფონდის იურისტის მომსახურებით. ფონდი „სოხუმი“ კვლავ აგრძელებს თანამშრომლობას მუნიციპალიტეტთან.



- საბჭოს ორმა წევრმა ტრენერთა ტრენინგის(TOT) წარმატებით გავლის შემდეგ ტრენინგები ჩაატარა სხვადასხვა თემებში, პროექტის „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ (NCCE). პროექტი ნაწილია პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით.



- ასევე საბჭოს ორმა წევრმა ტრენერთა ტრენინგი და მუნიციპალიტეტის 5 თემში ადგილობრივი ქალებისთვის ჩაატარა ტრენინგები ორგანიზაცია "პარტნიორობა განათლებისა და კომუნიკაციისთვის" -სა და ბრიტანულ ფონდ „BEARR TRUST“ -ის პარტნიორობით მიმდინარე პროექტის "MERIT-ME Migrants Empowerment and Reintegration through Training, Mentoring and Engagement" ფარგლებში.
- პროექტი მიზნად ისახავს შრომით მიგრაციაში ჩართული პირების და პოტენციური მიგრანტების, ქალებისა და ახალგაზრდების უნარების გაძლიერებასა და რეინტეგრაციის ხელშეწყობას, ტრენინგი მოიცავდა შესავალს სამეწარმეო კურსში, პროფესიული განათლების მიღებისა და სახელმწიფო პროგრამების გამოყენების შესაძლებლობებს.

- საბჭოს ორგანიზებით ყოველწლიურად აღინიშნება სოფლად მცხოვრებ ქალთა დღე, ქალთა საინიციატივო ჯგუფთან „გოგოლესუბნის ქალები“ 2022 წელსაც ჩატარდა შეხვედრა სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ სოფლად მცხოვრებ შინამეურნე ქალებს.



- პერიოდულად საბჭოს წევრები მონაწილეობას ღებულობენ ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრებში გენდერული თანასწორობის განვითარებისთვის ადგილობრივი ახალგაზრდების პრიორიტეტებისა და გამოწვევების შესახებ.

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანალიტიკოსებმა გლობალური მიზნების კვირეულის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან შეხვედრა გამართეს და SDG-ების ლოკალიზებისა და სამოქმედო გეგმაში მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის (გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება) ამოცანების ასახვაზე ისაუბრეს.

- ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, რომელიც ეხებოდა ორგანიზაციის პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) პროექტს - „ინკლუზია, გენდერი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯამრთელობის სერვისებზე წვდომა“.

- მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრები ჩაერთვნენ ვარდისფერი ოქტომბერის კამპანიაში.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა ძალადობის აღმოფხვრის 16 დღიან კამპანიას.
- ვიდეომიმართვებით ჩაერთვნენ კამპანიაში საკრებულოს თავმჯდომარე და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

- გენდერული ძალადობის აღმოფხვრის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებთან, საკრებულოს წევრებთან, ა(ა)იპე-ბის და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.
- შეხვედრაზე მოწვეულები იყვნენ ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი , შშს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს გამომძიებელი, ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელმა და ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კრიზისული ცენტრის უფროსი.

- გენდერული ძალადობის აღმოფხვრის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, **IX-XII** კლასის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.
- შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გურიაში თამარ ოგანოვა, ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტი ნანა მგალობლიშვილი, შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ დირექტორი, ჯანდაცვის ადმინისტრირების მაგისტრი სალომე გუდავაძე, **N1** საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი თამარ მეგრელიძე, ქვაბღის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო ფაილოძე და ფსიქოლოგი ნესტან ჭკუასელი .

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და სამრევლო სკოლის ბებიების კლუბის წევრები, სამრევლო სკოლისა და **N1** საჯარო სკოლის მაღალკლასელებს შეხვდნენ.
- შეხვედრის თემას წარმოადგენდა რეჟისორ ლანა ღოღობერიძის მხატვრული ფილმის -"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხზე" განხილვა გენდერულ ჭრილში, დღეს არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები
- შეხვედრას უძღვებოდა, სამრევლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ნანა მგალობლიშვილი



- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო გამოაცხადა კონკურსი საბჭოსთვის ლოგოს შემუშავების მიზნით. კონკურსი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული საკონკურსო პირობების დაცვით და საბჭომ გამოავლინა გამარჯვებული კონკურსანტი, რომელსაც გადაეცა ფულადი ჯილდო.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2022 წელს სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავებულ იქნა მუნიციპალიტეტში გენდერული სტატისტიკის აღრიცხვის ფორმები, რომლებიც გადაეგზავნა აღმასრულებელ ორგანოს და შესაბამისად წარმოდგენილი იქნა სტატისტიკური მონაცემები გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნის თანახმად და ასევე წარმოდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების გენდერული კუთხით სტატისტიკური მონაცემები, რაც საბოლოოდ ემსახურება მუნიციპალიტეტში გენდერული სტატისტიკის დანერგვას.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს საბჭოს მიერ ხორციელდება მონიტორინგი მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და შუამდგომლობებზე, როგორც გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის კუთხით ასევე საბჭოს მიერ შემუშავებული საბიუჯეტო ინიციატივების საფუძველზე დანერგილი მუნიციპალიური პროგრამების განხორციელებაზე.
- იხ. ქალი მეწარმე რომელმაც ისარგებლა ქალთა ეკონომიური გაძლიერების მუნიციპალური პროგრამით, მონიტორინგმა აჩვენა რომ პროგრამა წარმატებით აგრძელებს მუშაობას.

- სამომავლო გეგმები:
- გენდერული თანასწორობის საბჭო მუშაობს არაერთი მიმართულებით, მათ შორის შშმ პირთა, ქალების, ახალგაზრდების, მარტოხელა მშობლების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე, რათა შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.
- საბჭო გააგრძელებს შეხვედრებს მუნიციპალიტეტიოს სხვადასხვა თემში გენდერული თანასწორობის კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- საბჭოს უკვე წარმატებული გამოცდილებიდან გამომდინარე გაგრძელდება თემებში ქალთა საინიციატივო ჯგუფების შექმნის ხელშეწყობა
- აქტიურად გაგრძელდება თანამშრომლობა, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

- 2023 წელს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის მიენიჭა ახალი საბიუჯეტო კოდი 05 05 და დაფინანსება წინა წელთან გაიზარდა 10. 0 ათას ლარით, 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 30 .0 ათას ლარს. დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.
- https://matsne.gov.ge/document/view/5669444?publication=0

ყველა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ, როგორც მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე **Chokhatauri.ge** ასევე საბჭოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

მადლობა ყურადღებისთვის!